

საქართველო

„ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება
ენერგეტიკული ურთიერთკავშირისა და
განახლებადი
ენერჯის პროგრამის მეშვეობით -
მრავალფაზიანი
პროგრამული მიდგომის I ფაზა“

P179950

პროექტი
გარემოსდაცვითი და სოციალური
ვალდებულების გეგმა (ESCP)

29 მარტი, 2024

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა

1. საქართველო (მსესხებელი) განახორციელებს „ელექტროენერგეტიკული ინტეკონექციის და განახლებადი ენერჯის პროგრამის ფარგლებში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების“ (პროექტი) მრავალეტაპიანი მიდგომიდან (MPA) პირველ ეტაპს, სააქციო საზოგადოების (სს) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მეშვეობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაწილეობით (MoESD), როგორც მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში და პროექტის ხელშეკრულებაში. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ბანკი) თანახმაა უზრუნველყოს პროექტის დაფინანსება, როგორც მითითებულია მითითებულ ხელშეკრულებებში.
2. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტი განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) და წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის (ESCP) შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები წესით. ESCP არის სესხის ხელშეკრულებისა და საპროექტო ხელშეკრულების ნაწილი. თუ ESCP-ში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ESCP-ში გამოყენებულ ტერმინები განიმარტება მითითებულ ხელშეკრულებებში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობებით.
3. ზემოაღნიშნულის დარღვევის გარეშე, წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში (ESCP) განსაზღვრულია არსებითი ზომები და ქმედებები, რომლებსაც განახორციელებს (ან რომელთა განხორციელებას უზრუნველყოფს) მსესხებელი, ასევე მითითებულია ასეთი ქმედებებისა და ზომების განხორციელების ვადები, ინსტიტუციური, საკადრო, ტრენინგების, მონიტორინგის და ანგარიშგების ღონისძიებები და საჩივრების მართვა. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში ასევე მითითებულია გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) ინსტრუმენტები, რომლებიც მიიღება და დაინერგება პროექტის ფარგლებში, თითოეული მათგანი მოითხოვს წინასწარ კონსულტაციას და გასაჯაროებას, ESS-ს შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმით, შინაარსით და წესით. მიღების შემდეგ, აღნიშნული E&S ინსტრუმენტები შესაძლოა პერიოდულად გადაიხედოს ბანკის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
4. ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმების შესაბამისად, პროექტის განხორციელების პროცესში პერიოდულად გადაიხედება წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა (ESCP), პროექტში განხორციელებული ცვლილებების და გაუთვალისწინებელი გარემოებების ადაპტიური მართვის ან პროექტის განხორციელების ეფექტურობის შეფასებაზე რეაგირების ასახვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში, მსესხებელი, სსე-ს მეშვეობით, და ბანკი შეთანხმდებიან გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის (ESCP) განახლებაზე აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით, მიმოწერის გზით (სსე-ს მხრიდან წარმოდგენილი ნინო ერქომაიშვილი, პროექტის მენეჯერი). საქართველო დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს შესწორებულ გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმას (ESCP).

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|-----------------------------------|---|---|---|
| მონიტორინგი და ანგარიშგება | | | |
| A | <p>რეგულარული ანგარიშგება</p> <p>პროექტის ფარგლებში გარემოს, სოციალური სფეროს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (ESHS) დაცვის ეფექტურობის, მათ შორის და არა მხოლოდ ESCP განხორციელების, ESCP-ით გათვალისწინებული E&S ინსტრუმენტების მომზადებისა და დანერგვის სტატუსის, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების და საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და ბანკისთვის წარდგენა.</p> | <p>დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღიდან პროექტის განხორციელების პერიოდში ექვსთვიანი რეპორტების მიწოდება ბანკისთვის, შესაბამისი ანგარიშის მიწოდება არაუგვიანეს 45 დღისა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან</p> | <p>სსე (მოანცემები შეგროვდება კონსულტანტებისგან, და საზედამხედველო კომპანიებისგან).</p> |
| B | <p>ინციდენტები და უბედური შემთხვევები</p> <p>ბანკის დაუყოვნებლივ ინფორმირება პოქტთან დაკავშირებული ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს გარემოზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ან მუშახელზე, მათ შორის ნებისმიერი შემთხვევითი დაღვრის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მიწის/წყლის დაბინძურება, ექსპროპრიაციის პრობლემები, უბედური შემთხვევები, მუშახელის ან ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის წევრების მონაწილეობით, შრომითი პრობლემები და სხვა. სათანადო და დეტალური ინფორმაციის წარდგენა ინციდენტების ან უბედური შემთხვევების შესახებ, მათი აღმოფხვრისთვის მიღებული ან დაგეგმილი დაუყოვნებლივი ზომების მითითებით, და სერვისის მიმწოდებლ(ებ)ის, კონსულტანტ(ებ)ისა და ზედამხედველი პირ(ებ)ის, როგორც შესაბამისი პირ(ებ)ის, მიერ</p> | <p>ბანკისთვის შეტყობინება ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმირებიდან 48 საათის განმავლობაში</p> | <p>სსე</p> |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|--|--|--|-----------------|
| | <p>მოწოდებული ინფორმაციის უზრუნველყოფა.</p> <p>შემდეგ, ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, ანგარიშის მომზადება ინციდენტების ან უბედური შემთხვევების შესახებ და მათი განმეორების პრევენციის ნებისმიერი ზომის შეთავაზება.</p> | <p>შემდგომი ანგარიშის წარდგენა</p> <p>ბანკისთვის მისაღებ ვადებში, მოთხოვნის შესაბამისად</p> | |
| C | <p>კონსულტანტის ყოველთვიური ანგარიშები</p> <p>მოთხოვნა სერვისის მიწოდებლ(ებ)ის, კონსულტანტ(ებ)ის და ზედამხედველი კომპანი(ებ)ის მიმართ, უზრუნველყონ ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები ESHS-ის ეფექტურობის შესახებ შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაში და კონტრაქტებში მითითებული მაჩვენებლების შესაბამისად და ასეთი ანგარიშები წარუდგინონ ბანკს.</p> | <p>ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა</p> <p>ბანკისთვის მოთხოვნის საფუძველზე</p> | სსე |
| ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა | | | |
| 1.1 | <p>ორგანიზაციული სტრუქტურა</p> <p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS)(დამტკიცებული ორგანიზებული სტრუქტურით) , დამტკიცება, რომლის ამოცანაა ESHS-ის მენეჯმენტი კვალიფიციური რესურსებით ESHS რისკებისა და პროექტის ზემოქმედების მართვის მხარდასაჭერად, მინიმუმ ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე უფროსი გარემოსდაცვითი სპეციალისტის, ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე სოციალური საკითხების უფროსი სპეციალისტის, ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის და ერთი შრომის უსაფრთხოების და დაცვის სპეციალისტის უზრუნველყოფით, რომლებიც დანიშნული არიან პროექტის განხორციელებისთვის.</p> | <p>ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნება</p> <p>პროექტის განხორციელების განმავლობაში, დანიშნა ძალაში შესვლის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში და შენარჩუნება</p> <p>პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში</p> | სსე |

| | არსებითი ზომები და ქმედებები | ვადა | პასუხისმგებლობა |
|-----|---|---|-----------------|
| 1.2 | <p>გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტები უზრუნველყოს MPA-ის შემდგომი ეტაპების E&S ინსტრუმენტები, რომელთა მომზადებაც დაფინანსდება პროექტის ფარგლებში, როგორცაა ბუნებრივ და სოციალურ ზემოქმედების შეფასება და გეგმა (ESIA/ESMP) საპაერო გადამცემი ხაზებისთვის (OHL) საქართველოში და რუმინეთში და წყალქვეშა კაბელისთვის, ასევე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო და განსახლების სამოქმედო გეგმა საქართველოში ეგზ-ებისთვის, რომელიც შეესაბამება შესაბამის ESS-ებს, შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას და მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მხარეც არის მსესხებელი.</p> <p>უზრუნველყოს, პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ზღვის ფსკერის კვლევები განხორციელდება და წყლიდან ხმელეთზე ამოსვლის ადგილების განლაგებ ნაოსნობის, ზღვაზე უსაფრთხოებისა და დაბინძურების პრევენციის შესაბამის ეროვნული და საერთაშორისო წესებით.</p> <p>ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი პროცედურების დანერგვა და განხორციელება, რომლებიც შეესაბამება ESS-ს და ეროვნულ კანონმდებლობას აუფეთქებელი საბრძოლო იარაღის (UXO) კვლევის ჩასატარებლად.</p> | <p>უზრუნველყოს E&S ინსტრუმენტების შესაბამისობა შესაბამის ESS-ებთან პროექტის განხორციელების განმავლობაში</p> <p>ეროვნული და საერთაშორისო წესების დაცვის უზრუნველყოფა ზღვის ფსკერის კვლევების განმავლობაში პროცედურების დანერგვა UXO-ს კვლევის დაწყებამდე და განხორციელება პროექტის განხორციელების განმავლობაში</p> | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|------------------------------|--|--|-----------------|
| 1.3 | <p>სერვისის მიწოდებლების, კონსულტანტებისა და საზედამხედველო კომპანიების მართვა შესყიდვის დოკუმენტების ESHS სპეციფიკაციებისა და სერვის-პროვაიდერ(ებ)თან, კონსულტანტ(ებ)თან და საზედამხედველო კომპანი(ებ)თან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ESCP-ის შესაბამისი ასპექტების ჩართვა, მათ შორის, შრომის მართვის პროცედურების (LMP), ქცევის კოდექსის, OHS, ნარჩენების მართვის, ნავიგაციის უსაფრთხოების და საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების ჩათვლით. ამის შემდეგ დარწმუნდით, რომ სერვისის პროვაიდერ(ებ)ი, კონსულტანტ(ებ)ი და ზედამხედველობის ფირმა(ებ)ი შეესაბამება მათი შესაბამისი კონტრაქტების ESHS სპეციფიკაციებს. შემდეგ კი იმაში დარწმუნება, რომ სერვისის პროვაიდერ(ებ)ი, კონსულტანტ(ებ)ი და საზედამხედველო კომპანი(ებ)ი შეესაბამება მათი ხელშეკრულებების შესაბამის ESHS სპეციფიკაციებს.</p> | <p>შესყიდვის ჩართულობა შესყიდვის დოკუმენტაციისა და შესაბამისი კონტრაქტების მომზადების დროს</p> <p>შესრულების ზედამხედველობა კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში</p> | სსე |
| 1.4 | <p>ტექნიკური დახმარება</p> <p>უზრუნველყოფა, რომ პროექტის ფარგლებში კონსულტაციები, კვლევები (ზღვის ფსკერის კვლევები, შესაძლებლობების განვითარება, ტრენინგი და ნებისმიერი სხვა ტექნიკური დახმარების ღონისძიება განხორციელდეს ბანკისთვის მისაღები ტექნიკური დავალების შესაბამისად, ასევე, მათ შორის E&S ინსტრუმენტების მომზადება MPA-ის შემდგომი ეტაპებისთვის, რომელიც შეესაბამება ESS-ს. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებების შედეგების ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.</p> | <p>პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში</p> | სსე |
| 1.5 | <p>აქტივობები, რომლებიც ექვემდებარება რეტროაქტიულ დაფინანსებას</p> <p>E&S კომპლექსური შემოწმების მიმოხილვის დასრულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზღვის ფსკერის კვლევები და შესაბამისი ზედამხედველობის სერვისები, რომელიც ექვემდებარება რეტროაქტიულ დაფინანსებას, შეესაბამება ESS-ებს და იცავს ნაოსნობის, ზღვაზე უსაფრთხოებისა და დაბინძურების პრევენციის შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო წესებს.</p> | <p>რეტროაქტიული დაფინანსების გაცემამდე</p> | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|---|---|---|--|
| 1.6 | <p>დამხმარე საშუალებები</p> <p>რუმინეთის სანაპიროზე წყალქვეშა კაბელის ხმელეთზე ამოსვლის წერტილის კავშირი რუმინეთის ელექტროგადამცემ ინფრასტრუქტურასთან იდენტიფიცირებულია, როგორც დამხმარე საშუალება ESS1-ის მიხედვით, რომელიც არ არის მსესხებლის კონტროლის ან გავლენის ქვეშ. E&S ინსტრუმენტები, რომლებიც უნდა მომზადდეს პროექტის ფარგლებში: (ა) განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ დამხმარე საშუალებებზე და მათ როლებს; (ბ) შეაფასოს პროექტის ზემოქმედება და რისკები; და (გ) რუმინეთის შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია, მათ შორის ადაპტური მენეჯმენტისა და სამუშაოების კოორდინაციის გზით ზემოქმედების მინიმიზაცია.</p> | <p>პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში</p> | <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსე</p> |
| ESS 2: შრომა და სამუშაო პირობები | | | |
| 2.1 | <p>შრომის მართვის პროცედურები</p> <p>პროექტისთვის შრომითი მენეჯმენტის პროცედურების (LMP) მიღება და განხორციელება, მათ შორის, სამუშაო პირობების, მუშაკებთან ურთიერთობის მართვის, შრომის დაცვის და უსაფრთხოების (მათ შორის, პერსონალური დამცავი აღჭურვილობის, და საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნისა და რეაგირების შესახებ) დებულებების, ქვევის კოდექსის (მათ შორის SEA-თან და SH-თან დაკავშირებით), იძულებითი შრომის, ბავშვთა შრომის, პროექტზე მომუშავე პირების საჩივრების განხილვის მექანიზმების და შესაბამისი მოთხოვნების განსაზღვრა სერვისის მომწოდებლების, კონსულტანტებისა და ზედამხედველი კომპანიებისთვის.</p> | <p>LMP-ს მიღება ძალაში შესვლის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში და შემდეგ LMP-ს განხორციელება პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში</p> | <p>სსე</p> |
| | <p>ზღვის ფსკერის კვლევები (C-LMP) ავალდებულებს კონსულტანტს მათ კონტრაქტებში LMP-ის გათვალისწინებას, C-LMP-ს განახლებას საჭიროებისამებრ და მისი პირობების დაცვას.</p> | <p>წარდგენა – კონტრაქტის ხელმოწერიდან სამი თვის განმავლობაში და შესრულება - პროექტის განხორციელების</p> | <p>სსე</p> |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|------------------------------|--|--|-----------------|
| | | სრული ციკლის განმავლობაში | |
| 2.2 | <p>საჩივრების განხილვის მექანიზმი პროექტში დასაქმებული პირებისთვის: საჩივრების განხილვის მექანიზმის (GM) შემუშავება და ფუნქციონირება პროექტში დასაქმებული პირებისთვის, როგორც აღწერილია შრომის მართვის პროცედურებში და ESS2-ს შესაბამისად.</p> <p>იმის უზრუნველყოფა, რომ კონსულტანტმა რომელიც ახორციელებს ზღვის ფსკერის კვლევას, შეიმუშაოს და მიიღოს საჩივრების განხილვის მექანიზმი (GM), თავისი თანამშრომლებისთვის, C-LMP-ს შესაბამისად.</p> | <p>საჩივრების განხილვის მექანიზმის (GM) შემუშავება პროექტის მუშახელის აყვანამდე და ფუნქციონირება პროექტის განხორციელების განმავლობაში</p> <p>მიღება – კონტრაქტის ხელმოწერიდან სამი თვის განმავლობაში და შესრულება - პროექტის განხორციელების განმავლობაში</p> | სსე |
| 2.3 | <p>შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OHS) ზომები ზღვის ფსკერის კვლევების დროს კონსულტანტ(ებ)ის მიერ ობიექტისთვის სპეციფიკური საფრთხეების დეტალური შეფასების საფუძველზე OHS რისკის მართვის ზომების განსაზღვრა, ასევე, პროექტის LMP-ს შესაბამისად, კონსულტანტის OHS გეგმების პერიოდულად შემუშავება, მიღება, განხორციელება და განახლება ბანკისთვის მისაღები წესით და ESS2-ისა და საქართველოს ეროვნული</p> | კონტრაქტორის OHS გეგმების მიღების უზრუნველყოფა საქმიანობების დაწყებამდე და მათი განხორციელება | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|---|--|---|-----------------|
| | <p>კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.</p> <p>იმის უზრუნველყოფა, რომ სერვისის მომწოდებლებმა, კონსულტანტ(ებ)მა და საზედამხედველო კომპანი(ებ)მა დანიშნონ პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება OHS ზომების განხორციელებაზე.</p> | შესაბამისი კონტრაქტების მოქმედების განმავლობაში. პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში | |
| ESS 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა | | | |
| 3.1 | <p>ნარჩენების მართვის გეგმა</p> <p>კონსულტანტ(ებ)ის მიერ ნარჩენების მართვის გეგმის (ნმგ) ზღვის ფსკერის კვლევის განხორციელების პროცესში ჩართვა. მოთხოვნა კონსულტანტ(ებ)ის მიმართ შეიმუშაონ და განახორციელონ ნმგ გეგმებისთვის, რომლებიც გამოიყენება ზღვის ფსკერის კვლევებისთვის, ESS3-ს და სათანადო საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის შესაბამისად, ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (2008), საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდის (2010) შესაბამისი და ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით.</p> | ნმგ-ის განახლება ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვის განმავლობაში და განხორციელება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში | სსე |
| 3.2 | <p>პროექტის ფარგლებში მომზადებული E&S ინსტრუმენტების MPA-ის შემდგომი ფაზებისთვის ESS 3-ის მოთხოვნების გათვალისწინების უზრუნველყოფას.</p> | პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში | სსე |
| ESS 4: მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | | | |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|--|---|--|-----------------|
| 4.1 | ნაოსნობის უსაფრთხოება მოთხოვნა სერვისის მომწოდებლების მიმართ მუდმივად დაიცვას ნაოსნობის უსაფრთხოების საერთაშორისო წესები და სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ და ასახულია 1974 წლის საერთაშორისო კონვენციაში ზღვაში სიცოცხლის უსაფრთხოების შესახებ (SOLAS); ზღვაზე შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო რეგულაციების შესახებ კონვენციაში (COLREG), 1972 წ.; და საერთაშორისო კონვენციაში მეზღვაურთა მომზადების, სერტიფიცირებისა და ვახტზე დგომის სტანდარტების შესახებ (STCW), 1978 წ. | ზღვის ფსკერის კვლევების კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში | სსე |
| 4.2 | მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მოთხოვნა, რომ კონსულტანტ(ებ)მა უზრუნველყონ თანამშრომლების ინფორმირებულობის ამაღლება რისკების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედებებს და მათი შერბილების ზომების შესახებ (როგორცაა ზღვის ფსკერის შემსწავლელი გემის ნაოსნობის ჩარევა ადგილობრივი მეთევზეების საქმიანობაში) | ზღვის ფსკერის კვლევების განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში | სსე |
| 4.3 | პროექტის ფარგლებში მომზადებული E&S ინსტრუმენტების MPA-ის შემდგომი ფაზებისთვის ESS 4-ის მოთხოვნების გათვალისწინების უზრუნველყოფას. | პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში | სსე |
| ESS 5: მიწის ჩამორთმევა, შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე და იძულებით განსახლება | | | |
| 5.1 | განსახლების პოლიტიკის ჩარჩო და გეგმები განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმები (RAPs), რომლებიც მომზადდება პროექტის ფარგლებში MPA-ის შემდგომი ფაზებისთვის, მოიცავდეს ESS 5-ის მოთხოვნებს. | პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში. | სსე |
| ESS 6: ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება | | | |
| 6.1 | ESS 6 მოთხოვნის შესაბამისი E&S ინსტრუმენტების მომზადება MPA-ს შემდგომი ფაზებისთვის. | პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|--|--|---|-----------------|
| ESS 7: მკვიდრი მოსახლეობა/სუბსაკარული აფრიკის ისტორიულად დაუცველი ტრადიციული ადგილობრივი თემები | | | |
| არ არის აქტუალური | | | |
| ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა | | | |
| 8.1 | კულტურული მემკვიდრეობა პროექტის ფარგლებში მომზადებული MPA-ის შემდგომი ფაზებისთვის E&S ინსტრუმენტები აერთიანებდეს ESS 8-ის შესაბამის მოთხოვნებს, მათ შორის მოქმედი შემთხვევითი პოვნის პროცედურებს. | პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში. | სსე |
| ESS 9: ფინანსური შუამავლები | | | |
| არ არის აქტუალური | | | |
| ESS 10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება | | | |
| 10.1 | დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა პროექტისთვის დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიღება და განხორციელება, ESS10-ს შესაბამისად, რომელიც მოიცავს დაინტერესებული პირებისთვის დროული, რელევანტური, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდების ზომებს და მათთან კონსულტაციებს სათანადო ფორმით, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე. | SEP-ის მიღება ძალაში შესვლის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში და განხორციელება პროექტის განხორციელების განმავლობაში | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | | ვადა | პასუხისმგებლობა |
|-----------------------------------|---|---|-----------------|
| 10.2 | <p>პროექტთან დაკავშირებით საჩივრების განხილვის მექანიზმი საჩივრების განხილვის ხელმისაწვდომი მექანიზმის დანერგვა, გასაჯაროება, დაცვა და ფუნქციონირება, პროექტთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სწრაფად, ეფექტურად და გამჭვირვალე გზით, რომელიც სათანადოდ და ადვილად ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა მხარისთვის, უსასყიდლოდ და ანგარიშსწორების გარეშე, ანონიმურად წარდგენილი საჩივრების ჩათვლით, ESS10-ის შესაბამისად.</p> <p>საჩივრების განხილვის მექანიზმით / GM შესაძლებელი უნდა იყოს SEA/SH საჩივრების მიღება, დარეგისტრირება და გადაწყვეტა, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა გადამისამართება შესაბამის სამხურებში, უსაფრთხო, კონფიდენციალური და დაზარალებულ პირებზე ორიენტირებული გზით.</p> | <p>პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის / GM მიღება და განხორციელება ძალაში შესვლის თარიღიდან 60 დღის და პროექტის განხორციელების განმავლობაში</p> | სსე |
| შესაძლებლობების მხარდაჭერა | | | |
| CS1 | <p>სსე-ს პერსონალის ტრენინგი შემდეგ თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაინტერესებულ პირთა რუკის შედგენა და ჩართულობა. - SEP, LMP, და ESCP განხორციელება; - UXO შესწავლის შესაბამისი პროცედურები და გეგმები; - ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციფიკური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია წყალქვეშა კაბელის გაყვანასთან. | <p>ზღვის ფსკერის კვლევების დაწყებამდე და შემდგომ, მოთხოვნის შესაბამისად</p> | სსე |
| CS2 | <p>სერვისის პროვაიდერ(ებ)ის, კონსულტანტისა და საზედამხედველო კომპანი(ებ)ის ვალდებულება დაკონტრაქტებული თანამშრომლების დატრენინგება C-LMP, OHS და ქცევის კოდექსის მიმართულებით, მათი ხელშეკრულებრივი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.</p> | <p>სრული ტრენინგი და ცნობიერების ამაღლების სესია თანამშრომლების დაქირავებიდან ერთი თვის განმავლობაში და შემდგომ წელიწადში მინიმუმ ერთხელ</p> | სსე |

| არსებითი ზომები და ქმედებები | ვადა | პასუხისმგებლობა |
|---|---------------------------------|-----------------|
| <p>ზღვის ფსკერის კვლევებში ჩართული სერვისის პროვაიდერ(ებ)ისა და საზედამხედველო კომპანი(ებ)ის ვალდებულებაა კონტრაქტის მქონე მუშაკებისთვის ტრენინგის მიწოდება იმ პროცედურებისა და გეგმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია UXO კვლევებთან.</p> | <p>UXO კვლევების დაწყებამდე</p> | |